ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№20 (54) ნოემბერი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევი საკვიცრო შეენი — გეორგია!

ღმერთმა, დალოცოს ქვეყანა ჩვენი

„თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების მანძილზე ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთანები და შაჰები. საქართველო იდგა, როგორც ევროპის ცხენსიმაგრე, საიდანაც საქრისტიანოს მგრები სისხლისგან დაცლილნი ან დასუსტებული აღწევდნენ ან ვერ აღწევდნენ ევროპამდე“.

ასეა დასაბამიდან. საქართველოს ჯერ თავისი მდებარეობის გამო, და მერე როგორც უძველესი კულტურის ქვეყანას, მდიდარს და ლამაზს, უთვალავი მტერი ეხვია გარს. მტერი ანადგურებად ქართულ ეკლესიებს, ანგრევდა ჩვენს რწენას, ჩეხდა ვაზს, გვჩეხდა ფიზიკურად... და მაინც—გადარჩა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, გადარჩა ერი და გადაარჩინა ენა, მამული, სარწმუნოება.

გიორგობისთვეა. ამ ამაღლებულ დღეებში კიდევ უფრო ცხოველად წარმოგვიდგება ჩვენი სვედიანი, მაგრამ საამაყო წარსული. გიორგობისთვე ქართველთა ცნობიერებაში სხვანაირად ასოცირდება. წმინდა გიორგის ძალი და მადლი გვიფარავდა ოდითგან, გიორგობის დღეს მოხდა უსისხლო რევოლუცია საქართველოში, რომლის 3 წლისთავს ახლა ვზეიმობთ. ამ დღესაც წმინდა გიორგის ჯვარი მიგვიძღოდა წინ. რევოლუციით საქართველომ გეზი აიღო დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისკენ, აღმშენებლობისკენ და რაც მთავარია, საქართველოს გამთლიანებისკენ.

3 წელი რა არის ისტორიისთვის, მაგრამ მხოლოდ უმადური თუ ვერ დაინახავს იმას, რაც დროის ამ უმცირეს მონაკვეთში მოესწრო. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ საქართველო შედგა, როგორც სახელმწიფო, იგი სცნო და აღიარა მსოფლიომ. დღეს ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება გრანდიოზული აღმშენებლობა, შექმნილია უსაფრთხო საინვესტიციო გარემო, სერიოზული ცვლილებებია განათლების, სოციალურ სფეროებში, კულტურაში, ეკონომიკაში და ა.შ.

ეს ძალზე ძუნწად და ზოგადად გაკეთებულზე, რადგან მთავარი და მთავარი წინ არის, რაც თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გავითავისოთ.

ვერც მარტო ხელისუფლება, ვერც ოპოზიცია, ვერც თითოეული ჩვენგანი ვერას მივაღწევთ, თუ საერთო ძალისხმევა არა, საერთო მონდომება და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა არა. „ვაი, იმ ქვეყანას, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში—ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისთვის; საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი,—საუკუნეზე მეტია გვაფრთხილებს დიდი ილია, მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ—დღესაც ეს ჭირი გვჭირს.

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რასაუ უცხო ეროვნებისანი ამბობენ ჩვენზე: „ქართველები ბრძოლაში უნდა ნახოთ, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ. ამის ცოცხალი მაგალითი ბევრი იცის ჩვენმა ისტორიამ. ასე რომ, ჯერი ჩვენზეა, ჩვენ მართლაც ბევრი რამ შეგვიძლია.

წმინდაო გიორგი! დაიფარე ჩვენი ქვეყანა, მიეც მის შვილებს სიყვარული, ახალი ძალი, ენერგია, მიეც სიმშვიდე!



წმინდაო გიორგი, დიდების ბრწყინვალეო,
ეფერე ჩვენს ხატებას და სული ბრწყინვალე ალი...
ძალისხმევ ფონიერდეთ დროებათა ორვალ,
ისევი საძვიდო ბენი—გეორგია,
დიდების ფიგალი ბრწყინვალეთ ბრწყინვალ ალი.
წმინდაო ალინდო, გველი ან დაინდო,
ბოგვიძალ ალიდი და ფიგლის სვე-დალი.

ხეიად გაშახოლია

ინფორმაცია

ეროვნული გალათლების სისტემას კარგ მომსახურეობას ვვირდება

ცაგერის განათლების რესურსცენტრმა განიცადა გარკვეული რეორგანიზაცია და საბოლოო სახე მიიღო. სამსახური ტესტირების საფუძველზე, თითქმის ახალი სახეები დაკომპლექტდა. აქვე უნდა ითქვას კონკურსში მონაწილე, შედეგებით უკმაყოფილო სახეებიც გამოიკვეთნენ. ვრცელი კომენტარისთვის სამსახურის შესახებ ვესაუბრეთ განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ მაკა ბენდელიანს.

–ქალბატონო მაკა, ჩათავდა კადრების დაკომპლექტება თქვენს სამსახურში, რამაც გარკვეული უკმაყოფილო ნაწილიც დატოვა როგორც ძველი თანამშრომლების, ასევე სამსახურის ახალი მაძიებლებისაც, როგორ წარიმართა კადრების შერჩევა თქვენთან და რამდენად ობიექტურად?

–თანამდებობის ჩვენთან დაკავების მსურველებს ჯერ უნდა გაეარათ ტესტირება, შემდეგ გასაუბრება ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საკონკურსო თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსანგს სამი ეტაპი უნდა გაევლო: საბუთების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება.

ამ ეტაპებიდან ყველაზე რთული გასაუბრება იყო, რადგან უკვე ბარიერგადალახულ, გამოცდაჩაბარებულ კონკურსანტებს დიდი პრეტენზიები ჰქონდათ. გასაუბრების მიზანი იყო შერჩეულიყო სათანამშრომლოდ კარგი ადამიანები, თავისი ადამიანური და პიროვნული ღირსებებით. გასაუბრება არ შეიძლება იყოს ობიექტური, როცა მისი მიზანი მოსაწონი კონკურსანტის არჩევაა.

კომისიის გადაწყვეტილებაც სუბიექტური იყო. ასეც უნდა ყოფილიყო, უბრალოდ ამან განაწყენება გამოიწვია იმ კონკურსანტების, ვისაც სურდა გასაუბრებაც

გვ.2

იდეა, რომელიც მასიური ჯვრისწერით დასრულდა

მთელს საქრისტიანოში არ მოიძებნება წმინდანი, მოწამე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავის პოპულარობით წმინდა გიორგის (გიორგი კაპადოკიელს) შეედრებოდეს.

განსაკუთრებულ თაყვანისცემას გამოვხატავთ წმინდა გიორგისადმი, ჩვენ, ქართველი მართლმადიდებელნი.

„არ არიან ბორცუნი და მაღალი გორაკნი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი (აშენებულნი) ეკლესიანი წმინდისა გიორგისა“—ბრაძნებს ვახუშტი ბატონიშვილი და ასეა დღესაც—წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები განფენილია მთელს საქართველოში“.

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ვერ იტევს მრევლს.

ტაძარში მიდის ღვთისმსახურება, მაგრამ მორწმუნეები რიტუალის დასრულების შემდეგაც დგანან ტაძარში—ლოცულობენ, სანთლებს ანთებენ, ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ და გუმხურაველდ ევედრებიან წმინდა გიორგის.

ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს ტაძარს ცაგერის რაიონული საავადმყოფოს მედიკოსები ეწვივნენ. ამათგან 9 წყვილს ჯვრისწერა გადაეწყვიტა. გვინდა მადლობა ვუთხრათ ამ შესანიშნავი იდეიტს ავტორებს, ტაძარს არ ახსოვს მასიური ჯვრისწერის ასეთი რიტუალი.

იდგნენ საოცრად ლამაზი წყვილები ტაძარში, გვირგვინების თავსაბურევებით, ზოგიც ექიმი, ზოგიც მედდა, ზოგი ახალგაზრდა, ზოგიც ბებია-ბაბუა... და ეს იყო მათთვის სულის განწმენდის, უფალთან მიახლოების მშვენიერი რიტუალი.

ჯვრისწერა ჩაატარა არქიმანდრიტმა ანტონმა.

ტაძარი გაჯერებული იყო სიყვარულით, სითბოთი და უდიდესი მადლით.

შემდეგ ჯვარდაწერილებმა მაყრიონის თანხლებით წმინდა მაქსიმეს საფლავი მოილოცეს.ჯვრისწერა ლამაზი ტრაპეზია დასრულდა.

რესურსცენტრი განათლების სისტემას კარგ მომსახურეობას ვვირდებთ

(დასასრული)

ობიექტური კრიტერიუმებით წარმართულიყო, რაც გასაუბრების თვითმიზანი ამჯერად სულაც არ იყო. განაწყენებული ადამიანებიც ამან უფრო გააღიზიანა, რადგან მსგავსი კონკურსის გამოცდილება მათ არ ჰქონდათ და თვითონ მიაჩნდათ რომ სწორედ მაღალი ქულა იქნებოდა განმსაზღვრელი გასაუბრებაზე.

საკამათო და ეჭვის საფუძველი გახდა ის, რომ ქულათა რაოდენობა არ გამოცხადდა საჯაროდ. ეს პირად ინფორმაციას ეკუთვნის და ამან კვლავაც გამოიწვია კონკურსანტების გაღიზიანება.

სამინისტროში ასეთი ინფორმაციის გაცემას საჯაროდ კრძალავს. ყოველ კონკურსანტს პირადად უნდა ეცნობოს მისი ქულები. თვითონ პიროვნებას კი შეუძლია საჯაროდ გამოაცხადოს თავისი ქულები, თუ ეს სურს. კონკურსანტებისათვის ამგვარმა „უაუგებარმა“ პროცედურებმა გამოიწვია ეჭვი, თითქოს „ყე მოხდა,“ „ჩაწყობა“, ვილაცას ქულები მიუმატეს და ა.შ. რაც უსაფუძვლო მოსაზრებებია.

ტესტირებაზე გადასალახი გახლდათ საკმაოდ რთული, 50%-იანი ბარიერი, 13 კონკურსანტიდან ეს ბარიერი გადალახა შვიდმა. საკამათო და უკმაყოფილების მიზეზი შეიქმნა ის, რომ ინფორმაციის მიწოდება რაღაც დონეზე არ იყო საჯარო. საჯარო იყო მხოლოდ ის, ვინ გადალახა ბარიერი და ვინ ვერა, ქულათა რაოდენობაზე ინფორმაცია მიეცემოდა პირადად კონკურსანტს და არა საჯაროდ, თუნდაც სხვა კონკურსანტების თანდასწრებით. ამა თუ იმ კონკურსანტს უნდებოდა სურვილი და ეჭვები. სხვა კონკურსანტის ქულა გაეგო, ეს ჩვენ გვეკრძალებოდა, თუმცა ერთმანეთისგან კარებს მიღმა ამის გაგების უფლება ჰქონდათ. იყო ინფორმაცია, თითქოს ჩვენ ვაფარებდით ხელს ადამიანებს, რომელთაც არ ჰქონდათ ბარიერი გადალახული, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მე ვცდილობდი ყველაფერი კანონიერად გამეკეთებინა, რადგან შეცდომის დაშვებას არავინ აპატიებდა.

–ვინ გავიდა გასაუბრებაზე, რომელიც აღგილზე ჩაგარდა?

–ყველა, ვინც გადალახა ბარიერი.

–მაშ შერჩევაზე რა კრიტერიუმებით შეაფასე კომისიამ კონკურსანტები, ვის მისცა უპირატესობა?

–სამინისტროს მითითებით გასაუბრება არ იყო ობიექტური, შერჩევა ხდებოდა სუბიექტური შერჩევით, ობიექტური შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ტესტირების მსარე.

–ალბათ, საკამათო ნაკლებად იქნებოდა საკითხი იმ შემთხვევაში, როცა შეირჩეოდა უმაღლესი ქულის მფლობელი, თქვენთან, რამდენადაც ცნობილია არ მოხდა ასე...

–ქულებს კომისიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. კომისიისთვის ყველა მონაწილე სარგებლობდა თანაბარი უფლებებით.

–მე მიჩნდება ასეთი კითხვა, რისთვის ჩაგარდა საერთოდ ტესტირება, გადაწყვიტეთ იმთავითვე ადაგილობრივ კომისიებს?

–სამინისტრო არის დამქირავებელი, საჯარო იურიდიული პირი, ის გიყენებს პირობებს, თუ გსურს, მიიღებ მის პირობებს, სამინისტროს მოთხოვნები კი ასეთი იყო.

–თვითონ კომისიებს რატომ არ გაუჩნდა იმის სურვილი, აერჩიათ მაღალქულიანი კონკურსანტი, თუნდაც ადამიანური ფაქტორით.

–მათ არა, მაგრამ თავიდან მე კი გამიჩნდა ასეთი სურვილი, გასულიყო მაღალქულიანი, მაგრამ დაპირისპირებების და დაძაბულობის პირობებში, რამდენიმე პიროვნებამ წამომიყენა მოთხოვნა (კონკურსანტებს ვგულისხმობ) ყველა ყოფილიყო კომისიის წინაშე თანაბარ პირობებში, თუმცა მათ პიროვნულად მაღალი ქულები ჰქონდათ, რატომლაც ეგონათ ტესტირებაზე მოხდა ჩაწყობა და „გასაყვან“ პირებს ჰქონდათ მიღებული მაღალი ქულები, თუმცა ეს ასე არ იყო, მეც კომისიის წინაშე დავაყენე მათი კატეგორიული მოთხოვნა.

–რამდენად კმაყოფილად გრძნობთ თქვენ თავს, როგორც ხელმძღვანელი კანონის და მორალის გათვალისწინებით.

–ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც დასაყრდენი არიან სამსახურში, ჩამოყალიბებულნი საიმისოდ, რომ, დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად შეასრულებენ. სამინისტროს მიზანიც ეს იყო.

–რამდენი კადრი დარჩა საბოლოოდ და რა მისია ეკისრება თითოეულ მათგანს.

–ოთხი ადამიანი, იურისტი, რომელიც მოემსახურება მთელი რაიონის საგანმანათლებლო ქსელს, ეკონომისტი, მოემსახუროს მთელს ქსელს, მისცეს რეკომენდაციები მუშაობაზე სხვას, ისე უნდა იყოს დახელოვნებული, გააკონტროლოს სხვისი ფინანსური ოპერაციები, პედაგოგი, საგანმანათლებლო დარგი, მიეხმაროს პედაგოგებს აიმაღლონ კვალიფიკაცია, ახალი სკოლის მართვა ასწავლოს ახლებური მეთოდებით, საქმის მწარმოებელი, რომელიც დაწესებულების დოკუმენტაციის წარმოებაზეა პასუხისმგებელი.

–არის თუ კოლექტივი ჯანსაღი და ახალი სამსახურისთვის შესაფერი?

–რა თქმა უნდა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ და უახლოეს მომავალში ჩემი თანამშრომლებიც დაამტკიცებენ ამას.

–როგორც ცნობილია, საჯარო სკოლების დირექტორები დაინიშნებიან შერჩევის შემდეგ, რას გვეტყვით ამის შესახებ.

დირექტორთა კონკურსი დაიწყო. პირველი ეტაპი–საბუთების მიღება დასრულდა, მეორე ეტაპი ტესტირება 28 იანვარს გაიმართება; გასაუბრება კი ალბათ ადგილობრივი კომისიის მიხედვით მოხდება. დირექტორთა კონკურსი მეტად მიმზიდველი და დახვეწილია საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, ამიტომ მსგავს ეჭვებს ამ კონკურსზე არ ექნება საფუძველი. კონკურსი ზუსტად ისევე ჩატარდება, როგორც თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი იყო. ხოლო კონკურსის ჩატარების წესს, პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება განსაზღვრავს.

ამჯერად მთელს რაიონში 47 დირექტორობის მაძიებელი კონკურსანტი გვყავს. მათ საკმაოდ რთული ტესტირება ელოდებათ წინ. კონკურსანტებმა უნდა ჩაბარონ ზოგად უნარებში, პროფესიულ უნარებში, ფუნქციურ წერაში, საკანონმდებლო ცოდნაში გამოცდა. ოთხივე ნაწილში მათ უნდა გადალახონ ცალ-ცალკე ბარიერი, რაც ძალიან რთულია. ამის შესახებ დირექტორობის მსურველები ინფორმირებულები არიან და ემზადებიან კიდევაც. მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები. საბოლოოდ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოები აირჩევენ სამინისტროდან წარმოდგენილი სამი კანდიდატურიდან სასურველს. ეს კი განათლების სისტემაში, დემოკრატიული მმართველობის დამყარების, პირველი ნაბიჯია.

–აჟიოტაჟია ბაღებში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რას გვეტყვით ამის შესახებ?

5 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კანონით თვითმმართველობის შესახებ სკოლამდელი დაწესებულებები ექსკლუზიური უფლებით გადაეცა აღგილობრივ თვითმმართველობას. მის წინაშე კი დადგა სისტემის რეორგანიზაციის შესახებ საკითხი, რაც ძალიან რთული განსახორციელებელია, განსაკუთრებით ასეთ სოციალურად დაუცველ რაიონში, როგორიც ცაგერის რაიონია. სამუშაო ადგილის შემცირება ტრაგედიად აღიქმება, რადგან ხშირად ოჯახს, სხვა შემოსავალი არ გააჩნია. ეს პროცესი კი აუცილებლად გასატარებელია. სასურველია, რომ ბაღების რეორგანიზაცია კანონიერად ჩატარდეს, რაც ნაკლებ მტკივნეული იქნება იქ მომუშავე პერსონალისათვის. ცაგერის რესურსცენტრს სკოლამდელი დაწესებულებები აღარ ექვემდებარებიან, სკოლამდელი დაწესებულებათა მომავალს ისიც უქმნის საფრთხეს, რომ ჯერ არაა შემუშავებული კანონი სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ, ამიტომაც ამ საფრთხის დარეგულირება მანამდე ძალიან რთულია.

–რა დოზით ექვემდებარება თქვენი სამსახური ადგილობრივ ხელისუფლებას?

ცაგერის რესურსცენტრი სამინისტროს ტერიტორიული ორგანოა, ეს დაწესებულება არ ექვემდებარება ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს, მაგრამ მასთან აუცილებლად თანამშრომლობს, ამას კი კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს, სადაც თვითმმართველობის უფლებები მკაცრადაა გაწერილი. თვითმმართველობასაც და სამინისტროსაც ერთი და იგივე განათლების პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ასე რომ, ადგილობრივ მმართველობას ორგანოებთან ეცდილობთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ.

–რას პირდებით პედაგოგებს და მოსწავლეებს?

–ჩვენს კომპეტენციაში შედის ტრენინგების მომზადება პედაგოგებისთვის, მათთვის სიახლეების და ახლებური მეთოდების გაცნობა. კარგად მომზადებული პედაგოგი კი მოსწავლის სწორად აღზრდის გარანტია.

–გისურვებთ წარმატებებს.

თამარ დავითულიანი

ფერთა შეხამების და ნიჭის ხეიმი

საოცარი სილამაზით ჩამომდგარ ლეჩხუმურ შემოდგომასა და ჭილაძისეულ „კაკლის წენგოსფერ“ დღეებს ცაგერის სამხატვრო გალერეაში იმ ნათელ დღეს ფერთა გამა და ჩვენებური, ლეჩხუმური ნიჭიერება ალამაზებდა და ასხივოსნებდა. ამ გამოფენის ორგანიზატორებმა სამხატვრო გალერიეს თითოეულმა თანამშრომელმა (დირექტორი მ. ღურჭუმალიძე) და კულტურის სამსახურის მესვეურებმა (ხელმძღვანელი გ. კვირიკაშვილი) მშვენიერი სიურპრიზები დაახვედრეს დამთვალიერებლებს ლამარა ბერიძის, მალვინა მინდაძის, მათუნა ჯიაძის,ალუდა ბურჯალიანის, დათო შკუბულიანის ნამუშევრებისა და ზოგიერთ მათგანზე შეიძლება ითქვას შედევრების სახით. გალერეის წინა ფოიეში ფართოდ იყო წარმოდგენილი ნაქარგები, ხეზე კვეთის ნიმუშები, მხატვრული ნამუშევრები, ხალიჩები. გამოჩენა გახსნა სამხატვრო გალერეიის დირექტორმა ქალბატონმა მაგული ღურჭუმალიძემ, რომელმაც მიულოცა იქ მყოფებს გამოფენის გახსნა და შემდგომი წარმატებები უსურვა ნამუშევართა ავტორებს; გამოფენის დამთვალიერებლებს მიესალმა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ომარ ჭაბუკიანი, ცაგერის რაიონის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გიორგი კვირიკაშვილი, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

სამხატვრო გალერეაში მყოფი თითოეული დამთვალიერებელი ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ აქ წარმოდგენილი ნამუშევრები უდაოდ დაამშვენებდა ნებისმიერი დონის გამოფენას.

გამოფენის დამთვალიერებლებში განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვია ქვედა ცაგერელი, აკადემიადამთავრებული დათო შკუბულიანის შემოქმედებამ. მისი ნამუშევრები ძირითადად ხეზე კვეთის სახით იყო წარმოდგენილი, საოცარი ნიჭი, ერუდიცია, პლასტიკა და დახვეწილი გემოვნება გვიზიდავდა და გვეძახდა თითოეულ ჩვენგანს დათოს შედევრებში. მის ნაშრომთან მდგომი თითოეული ჩვენთაგანი თითქოს ვკარგავდით დროის შეგრძნებას, ცხოვრების რიტმს და დედამიწისეულ ცოდვებს სადღაც დროებით ვტოვებდით... გმადლობთ დათო, ყველაფერი ამისათვის!

განსაკუთრებული მადლობა ალბათ გალერეის თითოეულ თანამშრომელსაც ეკუთვნის უდაოდ, რადგან ამ განუმეორებელი გარემოს შექმნა სწორედ ამ ადამიანთა დიდი მოდნომებისა და ძალისხმევის შედეგია.

P.S. გაცილებით უკეთესი იქნებოდა ალბათ, რომ ეს წერილი ამ მშვენიერი გამოფენის თხრობით დაგვემთავრებინა რომ არა ერთი ფრიად უხერხული გარემოება: ზამთრის ამ ღრუბლიან დღეს გაგვიმართლა გალერეაში წამსვლელთ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ დარი დაგვიდგა, წინაალმდეგ შემთხვევაში თანამშრომლებისაგან ხუმრობით გაფრთხილებულები ვიყავით: „თუ იწვიმოს, ქოლგებით მოდითო!“...

როცა ავდარია გალერეაში ისე წვიმს და თოვს, როგორც გარეთ, თუმცა იმ დღეს სტუმრად მისულმა რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ კერესელიძემ დახმარება და გვერდით დგომა აღუთქვათ...

მარინა სვანიძე

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ და ლეჩხუმი

1886 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№152) დაიბეჭდა ქაიხოსრო გელოვანის კორესპოდენცია, რომელიც ეხება ლეჩხუმში აბრეშუმის ჭიის მოშენებისა და მისი მოვლა-პატრონობის მდგომარეობას. მკითხველის ყურადღება გამახვილებულია აბრეშუმის ჭიის სარგებლიანობაზე, მაგრამ როგორ უშლის ხელს ამ დარგის განვითარებას ცრუ მორწმუნეობა. გაზეთი წერს: „მიზეზი იმისა რომ, ზოგიერთი კუთხე ჩვენი ქვეყნისა აბრეშუმის ჭიის მოვლის საქმეს არ ეკარება, არის ცრუმორწმუნეობა, მრავალი მაგალითებია იმისა, რომ ზოგიერთი კუთხის მცხოვრებლები აბრეშუმის ჭია გამოიყვანეს ამას იწყენს იმ სოფლის ეკლესიის ხატი მთავარანგელოზისა, ანუ წმინდა გიორგისა და სოფელს ერთიანად ამოადგებს სეტყვითა და ქარიშხლით.

ეს ცრუ, მავნებელი რწმენა იქამდის მაგრად არის ფესვმოკიდებული ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლებში, რომ არაერთხელ მომხდარა სამწუხარო შემთხვევა, თუ გაუბედია რომელიმე მოსახლეს და გამოუყვანია აბრეშუმის ჭია ოჯახში სოფლის მცხოვრებლები მიხტომიან ამ უკანასკნელს გამოუტანიათ სახლიდან ჭიით სავსე ჩელტები და გადაუყრიათ, ამნაირად ზოგიერთ ჩვენს სოფლებში ამ ცრურწმენის წყალობით შეკრული აქვს გზა აბრეშუმის მოყვანის საქმეს, სასურველია, რომ ამ საყურადღებო საგანს მიაქციოს ყურადღება როგორც ჩვენმა საზოგადოებამ, ისე ადგილობრივმა მღვდლებმა და როგორმე აღმოკვეთოს ხალხის ამგვარი ცრუმორწმუნეობა“.

1886 წელს (№243) გაზეთ „ივერია“ მკითხველს ყურადღებას მიაპყრობს ლეჩხუმში ნაცრის მიერ ვენახების განადგურების ფაქტებს და წესებს: „დიდი ხანია რაც ლეჩხუმში გაუჩნდა ვაზს სნეულება ნაცარი, რომელმაც დასცა ამ მაზრაში ღვინის მოსავალი. ხალხი ამგვარ მოვლენას ხეთის ნებას აწერს და გულხელდაკრეფილი შეჰ ყურებს თავის მამულის განადგურებას უშუალო სენისაგან, ორი თუ სამი წელიწადი იქნება რაც ნაცარმა იკლო ამ მაზრაში. მამულები გამობრუნდა, მოსავალმა კვლავ იმატა, ხალხი დაიმედდა, ეს არის მოგვხედა ღმერთმა, მოგვაშორა თავიდან ვენახის სენიო, მაგრამ ეს იმედები სამწუხაროდ არ გამართლდა, წელს იჩინა თავი ნაცარმა და მომეტებულად გააფუჭა ზოგიერთი სოფლის მამულები: არა თუ პატრონს, უბრალო მგზავრსაც გულს სწვავს, როდესაც ხედავს საკმაოდ ბლომად სრულად გაფუჭებულს ნაცრისაგან, საჭიროა შეეწიოს ხსენებულ მაზრას და გვირჩიოს რაიმე ღონე ამ სენის წინააღმდეგ, თორემ როგორც სჩანს ეს სენი ძველებურად განადგურებას უპირებს ჩვენს გამომკვებავს მამულებს“.

(დასაწყისი იხ. „ახალი ლეჩხუმის“ №18).

დ. ნასპერელის კორესპოდენციაში, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წელს (№154) ლაპარაკია ლეჩხუმში გავრცელებულ სენზე ციებ-ცხელებაზე, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო დაბლობ ადგილებში. წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული წამლების სიძველეზე და მკურნალობის მეტად დაბალ დონეზე. გაზეთი წერს: „თამამად კი ვიტყვი, რომ სხვა სენი კი არა ეს ციებ-ცხელება საკმარისია ლეჩხუმელებისათვის, ამ გარემოებასთან ერთად, ერთი ისეთი ექიმი არ აღმოაჩნდა ლეჩხუმს, რომ თავის დროზე შემწეობა მისცეს ლეჩხუმელ ხალხს. მართალია აქ არიან ერთი მაზრის და მეორე ლაილაშის საავადმყოფოს ექიმები, მაგრამ რად გინდა, პირველს თქვენს დროზე ძვირად ნახავს და რომ ნახოთ კიდეც წაყვანა მოუხერხებელია, მეორე კი სულ ლაილაშში იმყოფება და უფრო დამჯდარი ხასიათისაა, მაგრამ ხშირად არ სცალია, ამ სიკეთესთან ერთად ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ არც აქაური აფთიაქი გამოგვადგა. აფთიაქი, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც ვალდებულია იქონიოს ყოველთვის ახალ-ახალი წამლები. ჩვენს აფთიაქში კი ძველი წამლები ბლომად არის, ამას გარდა წამლები ძვირად იყიდება, დასამტკიცებლად ამ სიტყვასა მოვიყვან ერთ ამბავს: საუკეთესო კი ქინა გაიაფდა გირვანქა ჩამოვიდა 23 მლ. გრამს 2 კაპიკიც არ უწევს. აქ კი ჩვენს დალოცვილ ცაგერში ცოტა არ იყოს ხანდახან შეცდომებიც შემოიპარება ხოლმე. ამ აფთიაქებში ექიმის ამოწერილი რეცეპტები ვერ იკითხება ხეირიანად. არ ვიცი ვისი მიზეზია ექიმის თუ მეაფთიაქის. ამ გვარ შეცდომას შეიძლება ხშირად კაცის სიკვდილიც მოჰყვეს“.

როგორც შემონახული დოკუმენტები გვამცნობენ მე-19 საუკუნის ბოლოს ლეჩხუმში ხშირად იყო შემთხვევები ინფექციური დაავადებების გავრცელებისა, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა ხალხის ჯანმრთელობას და იწვევდა უამრავ მსხვერპლს. არც ეს საკითხი დარჩენილა „ივერიის“ ყურადღების გარეშე და 1890 წელს გაზეთი ვრცლად წერდა: „ივერიის“ 126-ე ნომერში სხვათაშორის მოთხრობილი გვქონდა სოფელ ჭყეიშში ყვავილის გაჩენის. ეხლა უნდა გაუწყოთ ისიც, რომ გაზეთში დაბეჭდილ ამბებს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მაზრის უფროსმა და ადგილობრივი მკურნალობებს. მაზრის უფროსმა მაშინვე ბეჯითად მოჰკიდა საქმეს ხელი. დაიბარა მკურნალები, დაფაცურდნენ და შეუდგნენ საჭირო საშუალებათა მიღებას, რომ სნეულებისათვის გზა შეეკრათ როგორმე და მთელ სოფელს არ მოსდებოდა. გუშინ 2 ამ თვეს ზემოთ ხსენებულ საზოგადოებაში მობრძანდა მაზრის უფროსი ალშაბია. მკურნალი ბ-ნი რუდეევი და ამ მაზრის საავადმყოფოს გამგებელი. ამცრელებითურთ. ორივე მკურნალმა დაიარა და ნახა ის ოჯახები, სადაც არის ამჟამად ყვავილი, და სნეულთა ჭირისუფალი და საჭირო რჩევა მისცეს. დანარჩენი საზოგადოება კი მაზრის უფროსის განკარგულებით მოწვეული იქნა სასოფლო სასამართლოს სადგურზე, სადაც ექიმების ზედამხედველობის ქვეგ ყველასათვის უნლა აეცრათ. ამ დღეს აუცრეს კიდეც 125 კაცს ვინც ვერ მოვიდა ხომ გაიგებდა ამცრელები. მაზრის უფროსმა აგრეთვე განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ ოჯახში უნდა იქნეს წრიული ბაირაღი, რათა ხალხმა იცოდეს რომელ უბანს არ ბუდობს სენი. ამის გარდა დარაჯები უნდა გვყავდეს, რომელნიც ყვავილ მოხდილნი უნდა იყვნენ და იმათ უნდა ადევნონ თვალყური, რომ ექიმების რჩევით მაზრის უფროსმა უკვე გადაწყვიტა სთხოვოს გუბერნატორს სადეზინფექციო წამალი. ექიმები ამბობენ, რომ დიდად საჭიროა ეს წამალი ესხუროს ავადმყოფთა ტანისამოსს და ნახმარს ქვეშაგებს, რადგან უამისოდ შეიძლება ამ სნეულებამ ერთ წელიწადსაც შეინახოს თავი ოჯახში. დღემდის ჩვენს სოფელში ყვავილი შეეყარა 70 ადამიანს და ამათგან ოთხი იმსხვერპლა და ამას გარდა ყვავილი გაჩნდა სოფ. დერჩსა, ტვიშსა და ორხვსაც, ამ სოფლებში აპირებს წასვლას ამ ორ სამ დღეში ბ-ნი მაზრის უფროსი მკურნალებითურთ.

„ივერია“ 1887 წელს (№174) ბეჭდავს ურაველის სტატიას „წერილი ლეჩხუმიდან“. კორესპოდენტი საინტერესოდ და მიმზიდველად გადმოგვცემს ქუთაისის გუბერნიის ახლადდანიშნული გუბერნატორის გენერალ გროსმანის მოგზაურობას ლეჩხუმში მაზრის გაცნობის მიზნით. მის შეხვედრას მოსახლეობასთან და ადგილობრივ თავადაზნაურობასთან.

გაზეთი წერს: „ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიქცია გუბერნატორის მობრძანებამ. 28 ივლისს მობრძანდა ლეჩხუმში, რაჭიდან ახალი გუბერნატორი გენერალი გროსმანი. მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი და თავადაზნაურობა მის აღმატებულებას დახვდნენ სამზღვრამდე, მდინარე ასკის ნაპირას. გუბერნატორმა ამ დღეს ინახულა ორი საზოგადოების სასოფლო სასამართლოები ჭყეიშისა და ალპანის, დაათვალიერა საქმეები. მისცა საჭირო დარიგება ხალხს და გაემართა უბრწყინვალესი ფავადის გრიგოლ ლევანის ძე დადიანის სახლში სოფელ სურმუშს, სადაც ეს თავადი ზაფხულს ატარებს ყოველ წელს. გუბერნატორმა ერთი ღამე გაათია იქ და მეორე დღეს მობრძანდა ლაილაშში. აქ გუბერნატორი პირველად ჩამოხტა უგანათლებულესის პრინცის მიურატის სახლში, რადგან ამჟამად პრინცი თავისი უბრწყინვალესის სახლობით ლაილაშში ბრძანდება. საზაფხულოდ. აქ გუბერნატორმა თვისის მხსესმდებით თურთ ისაუზმა და შემდეგ ნახა ბაზარი, მიიღო პურმარილი მოვაჭრეთაგან, მოისმინა მათი სათხოვარი. დახედა სასოფლო სასამართლოს, იქ შეკრებილ სოფლის ხალხს და გაემართა ცაგერისაკენ. ცაგერამდის მხოლოდ ერთი ადგილი იყო სადაც უნდა შეჩერებულიყო. ეს ალაგია ორბელის სასოფლო სასამართლო. აქ რამდენიმე წუთი დაჰყო გუბერნატორმა, დაათვალიერა სასოფლო კანცელარია და გამოემშვიდობა ხალხს იქ შეკრებილთ ნაშუადღევის მეხუთე საათამდე მობრძანდა ცაგერში. ადგილობრივი ადმინისტრაციისა და სასამართლოს წარმომადგენელნი, ექიმი აქაური თემისა ნოტარიუსით მისი აღმატებულებას დახვდნენ მაზრის უფროსის კანცელარიაში და საღამოს შვიდ საათზედ მაზრის უფროსმა ალშიბაიამ სამხარი გაუმართა გუბერნატორს და ყველა იქ დამსწრეთ. მეორე დღეს თავადაზნაურობამ გაუმართა გუბერნატორს სადილი ახლად გაშენებულ ბაღში. შუა დღის მეოთხე საათზე დაიწყეს ხსენებულ ბაღში პურისჭამა და გაჩაღდა ლხინი. საზოგადოებას საკვირველი მხიარულება ემჩნეოდა, გუბერნატორის ამალის გარდა თავადაზნაურობას მოწვეული ჰყავდა და მეჯლისს ამშვენებდნენ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის სიძე პრინცი მიურატი და გენერალ-ადმინისტრატორი უბრწყინვალესი თავადი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი, ადგილობრივ მოხელეთა პატიივცემული მანდილოსანნი და სხვები“.

საინტერესოა აღინიშნოს რომ ეკატერინე ჭავჭავაძის შვილიშვილი სალომე დადიანის შვილიშვილი ქართულ სისხლ-შერეული საფრანგეთის პრინცი ალენ მიურატი თავისი ოჯახით ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. ზუგდიდში.

1904 წელს „ივერია“ (№80) ბეჭდავს წერილს ოყურეშის საზოგადოების შესახებ და აღნიშნავს, რომ აქაური მცხოვრებლები უდიდეს გაჭირვებას განიცდიან უგზოობის გამო, რის შედეგადაც ხშირად აქვს ადგილი ადამიანთა დაღუპვის შეთხვევებს. „თავრობა კი-ამ მდგომარეობას სრულებით არ აქცევს სათანადო ყურადღებას, არ ზრუნავს იმისათვის, რომ შეაკეთოს გზები და უშიშარი გახადოს ხალხის მიმოსვლა.

გაზეთი წერს: „ოყურეშის საზოგადოება შეადგენს ხუთ პატარა სოფელს, ოყურეშს, ოფიტარას, ლაჭეპიტას, ისუნდერს და მახურას, სულ ოთხასამდე კომლს, მ.შ. სამოცი კომლი აზნაურია. ეს საზოგადოება მდებარეობს დ. ხონიდან 35–37 და ცაგერიდან 20 ვერსიის მანძილზე, მაღალ მთაგორიან ადგილზე.

აქაური მცხოვრებლები თითქოს ვინმეს განგებ ჩაუკეტია ორ თვალმიუწვდომელ მთას შორის. შუაში კი მიძვრება მდ. ცხენისწყალი, რომელიც გადასასვლელია მცხოვრებლებისა. მდინარეს დაუყვება ბილიკი დიდი განსაცდელია ადამიანისათვის ამ ბილიკზე მოსვლა. ალაგალაგ ცხენი ძლივს მიძვრება ორ სიპ კლდეს შორის. წვიმის შემდგომ ძნელი გასარჩევია და ვინ იცის რომელ ხრამში მოელის გადავარდნა მგზავრს. არა ერთი და ორი მგზავრი უმსხვერპლია ამ ბილიკს. ქვეყნის გაჩენიდან ამ გზას არავითარი ყურადღება არ მიქცევია მთავრობისაგან და არც მცხოვრებლებისაგან, მხოლოდ ამას წინათ გაგზავნეს განაჩენი, რომელიც თხოვს დახმარებას მთავრობას, რომ ოყურეშიდან ბონდის ხიდამდე გააკეთონ გზა. აღუთქვამთ ორი ათასი მანეთის ფულადი მუშაობა, მაგრამ საკითხავია რომ ეს ბედნიერი მოლოდინი გაგვიცრუვდება. თავიდა თავი ნუგეში აქაური საზოგადოებისა იყო ღვინის მოსვლა, რომელიც წარსულ წლებში ისე ბლომად მოდიოდა რომ ჭურჭელსაც ვერ პოულობდნენ ჩასასხმელად და თვითონაც შესანიშნავი ხარისხის იყო. 1909 წელს მოსავალი გაანადგურა სეტყვამ, ვენახი კი სრულიად გაახმო სხვადასხვა სენმა, დღეს იმის მაგიერ რომ ვენახებს აშენებდნენ, ჩამდგარან ზვარში და ძირში ჩრიან გამხმარ ვენახს. ღვინოს დაჩვეულებმა ველარ მოითმინეს. მიესივნენ მიწას. აბრუნებდენ ამერიკულ ვაზს აშენებენ, მაგრამ ალახმა უწყის რა შედეგი მოჰყვება ამას, რადგან მცოდნე და უვიცნი. ყველანი მყნიან და რა ჯიშის ლერწს რომელ ნიადაგზე რგავენ არ იციან“.

ამრიგად, „ივერიის“ რედაქციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იყო რა სრულიად საქართველოს მესიტყვე, მხედველობიდან არ გამორჩენია მაშინდელი ლეჩხუმის სინამდვილე, მისი ტკივილები და პრობლემები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კუთხის ისტორიული და კულტურული წარსულის შესწავლისათვის.

ჯ. ლეონიდიანი, ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

პირველად საქართველოში!

ყოველწლიური ფოლკლორული კონკურსი „ბანი“ იწვევს მსურველებს მონაწილეობის მისაღებად ნომინაციაში „საუკეთესო მომღერალი ოჯახი“.

დაგვიკავშირდით საქართველოს ყველა რეგიონიდან და გაითვალისწინეთ: ჟიური მხოლოდ თქვენი კუთხისთვის დამახასიათებელ ფოლკლორულ ნიმუშებს განიხილავს.

კონკურსში მონაწილე ფოლკლორული ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 8 კაცს. სქესი და ასაკი შეუზღუდავია. კონკურსში მონაწილე ოჯახებს შეუძლიათ შეასრულონ მათი კუთხისთვის დამახასიათებელი 4-5 ხალხური სიმღერა ნებისმიერ ქართულ ხალხურ საკრავთან ერთად ან მის გარეშე.

ჟიური საკონკურსოდ არ განიხილავს: კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, არაქართულ ხალხურ სიმღერებს თუ სხვა სახის საკრავებსა და მუსიკას, ქ. თბილისის ანსამბლებსა და ქალაქურ ფოლკლორს.

მომღერალი ოჯახების პირველადი შერჩევა მოხდება რაიონულ ცენტრებში ფინალისტებისთვის კი თბილისში გალაკონცერტი გაიმართება, სადაც ითითოეული რეგიონიდან გამოვლინდება სამი გამარჯვებული ოჯახი–1, მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელები. სამივე ადგილზე გასული გამარჯვებულები მიიღებენ ფულად პრემიას და სპეციალურ პრიზებს.

„ბანის“ დამჭუძნებლები არიან: ჯემალ ჭკუასელი, ანზორ ერქომეიშვილი, „თიბისი ბანკი“, ტელეკომპანია „იმედი“ და „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დარეკეთ 899 45 60 80 ან დაკავშირდით „ბანის“ რეგიონალურ კოორდინატორებს:

1. კახეთი, საქართველოს მთიანეთი–899 75 61 62
2. ქართლი–895 45 60 80
3. იმერეთი–877 72 54 51
4. გურია–899 15 26 08
5. სამეგრელო–899 29 72 06
6. აჭარა– 899 94 45 01
7. რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი–899 15 28 13
8. ზემო სვანეთი– 899 15 96 94
9. სამცხე-ჯავახეთი–899 79 94 32

ვინცხალეგა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლასტრიანის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მეგობრებს და ნათესაობას, რომლებმაც გულწრფელად დაიფიცეს და ჭირის დღე დამშვენეს ქ. ზუგდიდში მცხოვრებმ ჩემს საყვარელ დას ნინას და გაიზიარეს ჩემი დიდი მწუხარება.

მზია მუშუდიანი,
პედაგოგი.
სოფ. ლასტრიანში.

შეხვედრა წარსულთან

ბაფხულის სულისშემხუთველი პაპანაქება იდგა. ტელეფონის ხმამ ფიქრებიდან გამომიყვანა.

—შეგარცხვინოს ღმერთმა, თავი მომანატრე, მოდი, გამამხნევე, სანამ პირში სული მიდგას. გერონტის ხმა შევიცანი, ჩვენი ბიქტორიჩის, ბარდნალიდან.

—მაპატიე ჩემო კარგო, აუცილებლად გეწვევით, გინახულებთ.... და აი, ბარდნალაც. მანქანა მარჯვნივ ქოთქოთით შეუყვა აღმართს. ლადო ასათიანის კარმიდამო მოიგოვა. იქვე ახლოს რკინის ჭიშკართან შეჩერდა, ეზოში დაუკითხავად შეეღით. დახუნძლული ქლიავის, მსხლის, ვაშლის ხეები გარინდული იდგნენ თაკარა სიცხისგან შეწუხებულები. ხეების მიღმა, ორსართულიანი სახლის წინ, სკამზე მჯდარი მამაკაცი ხმაურზე წამოდგა. ხელისგული შუბლთან მიიტანა მზის დასაჩრდილად და ცნობისმოყვარეობით შემოგვხედა, გრძელი, გაუბედავი ნაბიჯებით ჩვენკენ გამოემართა. დანახვისთანავე სახე გაებადრა.

—ბიჭებო, ეს თქვენ ხართ? რა გამახარეთ, ძლივს გიცანით. პირველად მე გადამეხვია. ყველა სათითაოდ გადაგვკოცნა, სიხარულით აღელვებულს. მხრები უკანკალებდა ბრგე ვაჟკაცს.

—დღეს ნამდვილად არ გელოდით. ჩრდილქვეშ მდგარ სკამებზე მიგვითითა, აქ დაბრძანდით, მე მანანას დავუძახებო და გაუჩინარდა.

—აი ჩემი რძალი, მანანა, მოვიყვანე. ეს გაგვიწვევს მასპინძლობასო. ქალბატონი მანანა სახეგაბადრული მოგვესალმა. ახლავე იქნება ყველაფერით და სახლს მიაშურა.

ჩვენ ერთმანეთი მოვიკითხეთ, საუბარში გერონტის მეგობრები გია, ოთარი, მერაბი შემოგვიერთდნენ. ძალაუნებურად პოლიტიკაზე საუბარიც შემოვეპარა. ცხარე კამათი გაიმართა. ვეტერანები ძველს მიტირით, ახალგაზრდები პრეზიდენტის გუნდისაკენ იხრებიან, თუმცა ღღევანდელობის ბევრი რამ არ მოსწონთ...

—ნერვებს ნუ იშლით. სახლში შევიდეთ პურმარილზე. ისეთ ღვინოს დაგალევინებთ, პოლიტიკა სულ დაგავიწყდებათო. გააწყვეტია კამათი გერონტიმ.

დაელოცოს გამრჯე ოჯახი, დიდებული სუფრა გაგვიშალეს, თუმცა დიასახლისი მაინც ბოდიშობდა, უკეთესი მინდოდაო.

მაგიდის თავში მჯდომმა გერონტიმ გაგვაფრთხილა:—პირველ სასმისს მე შევსვამ, შემდეგ თითოეული ვიტყვით სადღეგრძელოს და სიმღერასაც წამოვიწყებთო. ჭიქით ხელში წამოდგა და თქვა.

—იმ ძალას გაუმარჯოს, რამაც ამ გაგანია სიცხეში ჩემთან მოგიყვანათ, ამ დუხჭირ ცხოვრებას დრო გამოსტაცეთ და აქ მობრძანდით. ეს ძალა სიყვარულია, ძმებო. ღვთიური, ყოვლისშემძლე ძალაა. გაგახსენებთ პოეტის შეგონებას: „სიყვარულო ძალსა შენსა, ყველა ერჩის, არსებს რაცა, ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზად გაქვს გნებავს საცა“.

მერაბი ჩაერია—გალაკტიონმაც დიდებულად თქვა. „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე....

გერონტიმ მზერა მოავლო მაგიდას და ტკბილი ხმით წამოიწყო—სიყვარული არ იქნება ძალადა....

ოთარი წამოდგა, განჯინასთან მივიდა. ორი პატარა ყანწი გამოიღო და თქვა.

—მინდა, მეგობრებო, ამ ქართული სასმისით მასპინძლის ოჯახი, ქართული ოჯახი დაელოცო, ოჯახში შვილთა სიმრავლე უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა. შენ, ჩემო გერონტი, ბედნიერი კაცი ხარ. სამი შვილი, რვა შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი გახარებენ.

—შენს და შენს ლამაზ ოჯახს გაუმარჯოს. ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოს, ყველა ქართულ ოჯახს ვადღეგრძელებ.

—გაუმარჯოს, გაუმარჯოს, სადღეგრძელოს გაუმარჯოს! გერონტიმ მადლობა გადაგვიხადა. მოიგონა ფრონტული ცხოვრება. პირველი დიდი ნათლობა მიიღო 1942 წლის შემოდგომაზე ხარკოვის ოლქში ქალაქ დვურეჩინსკის დაცვისას. 144-ე პოლკის უფროსმა სერჟანტმა, მძიმე ტყვიამფრქვევ „მაქსიმეს“ გათვლის მეთაურმა, სამჯერ უკუაქცია გააფრთებულ იერიშზე გადმოსული მტერი. ამ ცხარე ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა მისი განუყრელი მეგობარი და მეთაური ლეიტენანტი ბორის მასალიოვი, რომელმაც გერონტის მკლავებში დალია სული...

—მაშინ დავიფიცე, თუ დავბრუნდები სამშობლოში და ვაჟი შემეძინება, მას ჩემი დაღუპული მეგობრის სახელს დავარქმევთქო.

მან თიცი შეასრულა. უფროსი ვაჟი ბორისის სახელს ატარებს. მეორედ მიღებული ჭრილობა ძალიან მძიმე იყო და 1943 წელს გერონტი ოჯახს დაუბრუნდა ჯილდოებით მკერდდამშვენებული მათ შორის არის მედლები „За отвагу", За боевые заслуги" "За победу над Германией" და სხვ.

—მეგობრებო, ომში მილიონობით ადამიანი დაიღუპა, შევსვათ ომში დაღუპულთა სადიდებელი და ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო,—შემოგვთავაზა მიშამ.

სადღეგრძელოს შინაარსმა წარსულისადმი ემოციები აღძრა. გავიხსენეთ გასული საუკუნის 40-იანი წლების ტრაგიკული მოვლენები, პირველი მარცხიანი თვეები. მისი მიზეზები,

...1940 წლისათვის ვერმახტის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მატერიალური და ადამიანთა რესურსები. წარმატებისაგან გერმანელი ხალხი ეიფორიამ მოიცვა მიტინგზე ფიურერის გამოჩენისას ექსგაზირებული ბრბო ხმის ჩახლეჩამდე სკანდირებდა. Ein Gott, ein Volk, ein Fhrer! Heil Sieg!) („ერთი ღმერთი, გერმანია, ერთი ფიურერი“ „გამარჯვებას გაუმარჯოს!). ჰიტლერის სარდლობამ შეიმუშავა ე.წ. ბარბაროსას გეგმა, რომელიც საბჭოთა ქვეყანაზე ელვისებურ მოულოდნელ თავდასხმას და მის განადგურებას ითვალისწინებდა (Drang nach Osten.) ...1941 წლის ოქტომბრის ბოლოს გერმანიის ჯარები მოსკოვის მისადგომებამდე მივიდნენ. ამ მრისხანე დღეებში იშვა ერუანტელის მომგვრელი, გამამხნევებელი სიმღერა (მარში) Священная война_ამის გახსენებისას გერონტი წამოხტა, მუშტები დაპკრა მაგიდას და დასჭექა: ... Идет народная, священная война... რა მონდომებით და შემართებით ვმღეროდით, შემდეგ გავიხსენეთ სტალინგრადი, კურსკ-ორიოლი, რეიხსტაგის თავზე წითელი დროშის აფრიალება. სტალინის უზარმაზარი დამსახურება ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. დათომ წამოიწყო „სტალინო, ქვეყნის ბელადო... —ბიჭებო, საქართველო რომ არ ყოფილიყო, არც სტალინი იქნებოდა და მაშასადამე არც გამარჯვება, მახვილსიტყვაობს მერაბი. მე მინდა საქართველოს სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ჩვენი ლეჩხუმი ვადღეგრძელოთ, მისი ღირსეული შვილები გავიხსენოთ: უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი აკადემიკოსი გიორგი ახელედიანი, დიდი ენათმეცნიერი გიორგი გოლეთიანი, პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, გენერალი გიორგი ყურაშვილი, მარშალი არჩილ გელოვანი, ჩვენი სათაყვანებელი ლადო ასათიანი...

იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც ისეთი სიყვარულით, აღმფრენით, ემღეროს მშობლიური კუთხისათვის, როგორიც ლადოა. მხოლოდ მას შეეძლო დაეწერა „ვარდებიანი ბარდნარი, ბულბულთა ნაამბორალი“... საოცარ მხატრულ ფორმაში წარმოგვიდგინა „ხვამლის მთაზე გადმოსული თეთრი ნისლი აფრიანი“. იგი თითქოს გზის მეკელედ მიგვიძღვის გუმარეშის ყანებში, ვარდიკორაზე სარეწკელიას ვიწროებში, ნამკაშურზე, ცაგერის ბაზრობებზე. ლადოს თავდავიწყებით უყვარდა „ზურმუხტების და მარგალიტების სადარი“ სამშობლო —ლადოს გაუმარჯოს!—ლეჩხუმს გაუმარჯოს!

—დიდება ჩვენს სამშობლოს!

გამოვეხმაურეთ მაგიდის წევრები სადღეგრძელოს.

სხვა სადღეგრძელოებიც შეისვა. მშვენიერად მოილხინეთ, სიმღერებიც გამოგვივიდა. ამის მიზეზი ჩვენი მასპინძელი იყო.

სამამულო ომის ვეტერანი. უაღრესად კაცთმოყვარე, კეთილშობილი პიროვნება, თაობების აღმზრდელი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გერონტი თუთისანი 62 წელი ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდას.

პედაგოგიურ მუშაობას მშვენივრად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო რაიონული გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი, მისი წერილები ღრმა შინაარსით და აქტუალობით გამოირჩეოდა.

ღღეს, დამსახურებულ პენსიაზე გასული მოხუცებულობას უჩივის, ხანდახან გულისტკივილით უყვარს თქმა. Старость не радость_друзья. მხნეობას მაინც არ კარგავს, მხნეობას მაინც არ კარგავს, ცოტა-ცოტას შრომობს, გაბაფხული მოვა. მეზობლებს ვენახებს გაუსხლავს. ხელმარჯვე კაცია, დახმარება არ ეზარება.

ბარდნალში და სამეგობროში მას ბიქტორიჩს ეძახიან. ბედნიერი კაცი ხარ, ძმაო, სიკეთე არ მოაკლდეს შენს სტუმართმოყვარე ოჯახს.

ბებერი მეზურნეების წაბაძვით, ვმღეროდით ვეტერანები ახალგაზრდებთან ერთად. დიდხანს ვისურვეთ, ნახევარი ევროპა შემოვიარეთ, მანჯურიამდე ჩავედით...

გავიხსენეთ წარსული. მართალია, დიდი მადლიერი არ ვართ ღღევანდელობის, მაგრამ გვწამს, რომ საქართველო გაბრწყინდება.

ეს კი თქვენით მიიღწევა, ახალგაზრდებო, ახლა თქვენ უნდა შელეწოთ ცხენ, შეებათ ჩქერებს, უნდა უპატრონოთ მრავალტანჯულ ერსა და მამულს!

შალვა ცვარიანი

ნიჭი, რწმენა და იმედი!

ორბელის სკოლაში მისულებს (სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო ბურჯალიანი) პირველი, რაც თვალში მოგვხვდა—საოცრად ლამაზი, ფართო ეზო, თეთრი, ქათქათა გარემო და მშვენიერი გოგო-ბიჭების ნათელი სახეები იყო.

შემოდგომის ამ ცივ დღეს, საკმაოდ დამთბარ დიდ დარბაზში მრავლად მისული მაყურებელი და ღონისძიებისათვის მომზადებული ბავშვები მხოლოდღა სტუმრებს ელოდნენ... სტუმრები კი მრავლად შეიკრიბნენ საქართველოს დიდებისა და გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საღამოზე: საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ვალერი გიორგობიანი, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ომარ ჭაბუკიანი, რაიონის გამგებელი ვახტანგ კერესელიძე და საკრებულოს სხვა წევრები.

ღონისძიება დაიწყო და მაყურებელთა თვალწინ ორბელის სკოლის მოსწავლეები საოცარი პროფესიონალიზმითა და მონდომებით აცოცხლებდნენ ქართველთა, ცხოვრების წარსულისა და აწმყოს ერთმანეთთან პროფესიონალიზმით შერწყმულ სურათებს. თითოეულ დეტალში მჭიდროდ იყო ჩაკირული სამი ძირითადი აზრი ჩვენი ყოფიერებისა: —„ენა, მამული, სარწმუნოება!“. ერთმანეთს ცვლიდნენ პატარა მსახიობების მიერ განსახიერებული ბაში-აჩუკის, გიორგი სააკაძის, ჩვენი სულიერი მამების, ქეთევან, თამარ დედოფლების, დავით აღმაშენებლის, წმინდა გიორგის, განდგომილ თავადთა თუ ვარდების რევოლუციის და სხვა გმირთა სახეები და ეს ყველაფერი ისე იყო ერთმანეთში გადაჯაჭვულ-გაშინაარსებული, რომ მსმენელი კიდევ ერთხელ დარწმუნდა ჭეშმარიტებაში—ის, ვინც პატივს არ სცემს თავისი ქვეყნის წარსულს, მომავალიც არად უღირს! ნებისმიერ სცენასა და მიზანსცენას ავსებდა საოცარი მუხტის მქონე ქართული ცეკვა, ქართული სიმღერა...

საკმაოდ მიმზიდველად და საინტერესოდ წარმოადგინეს ღონისძიების სულისჩამდგმელებმა საქართველოს ძირითადი პრობლემისა და ტკივილის—აფხაზეთისა და ოსეთის თემა. საქართველოს რუკაზე მოხლეჩილი და მოწყვეტილი ეს ორი კუთხე მათივე პატარა ხელებითა და თითებით გაერთიანდა, რამეთუ ეს რეალურ ცხოვრებაშიც მათი, მომავლის საქმე და საკეთებელია.

ორბელის საჯარო სკოლას აგერ უკვე რამდენიმე თვეა ნიჭიერი და ახალგაზრდა დირექტორი ქალბატონი ნინო ბურჯალიანი ხელმძღვანელობს. იგი როგორც გვითხრეს, დიდი შემართებითა და მონდომებით უძღვება სკოლას.

განსაკუთრებული მადლობა ამ ღონისძიების დამდგმელს, ორბელის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ქალბატონ ლალი ჭაბუკიანს, რომელიც ამ საღამოზე მრავალმხრივი ნიჭით (მათ შორის მუსიკალური) წარსდგა...

კმაყოფილები ვტოვებდით სოფელ ორბელს, სკოლას, მის არაჩვეულებრივ წარსულის მქონე პედაგოგიურ კოლექტივს, ბავშვთა ჩამოყალიბებაში გაჭაღარავებულ „ძველ და სახელოვან გვარდიას“, უნიჭიერეს გოგო-ბიჭებს. ვტოვებდით ამ ყველაფერს და გვიხაროდა, რომ ჩვენს სოფლებში ისევ ძგერს ნიჭი, მომავლის რწმენა და იმედი!

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები რედაქციას

ჩვენს ქალაქში არა ერთი სავაჭრო ობიექტია, სადაც ჩვენთვის სასურველი საქონლის შეძენა შეგვიძლია. ზოგან შედარებით სასურველი ფასებია, მომსახურების კულტურაც გამორჩეული და ბუნებრივია, მეტი მომხმარებელი ეტანება.

ერთ-ერთი ნორმალური ის მაღაზიაა, სადაც ალეკო და ხათუნა ფუტკარაძეები მუშაობენ. აქ საქონლის ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი. პროდუქტები ხარისხიანია და საიმედო, არ გვაკლებენ წონაში. მაღაზიაში სანიტარული წესრიგიც დამაკმაყოფილებელია, და რაც მთავარია, ვგრძნობთ ქალბატონი ხათუნას გულისხმიერებას, კარგ მომსახურებას. ამიტომ მაღაზიას ბლომად ჰყავს მყიდველი, ხშირად რიგიც დგას.

ამ გაუსაძლისი ფასებისა და მწირი შემოსავლების პირობებში ცოტას არ ნიშნავს შეჭირვებული ადამიანებისადმი ყურადღება.

მომხმარებელი

***

ქვედა ცაგერში ე.წ. „დიანაშურის“ ღელე (სახერხისა და ყოფილი წისქვილის ტერიტორია) რომელიც პირდაპირ საავტომობილო გზაზე მიედინება, დიდ პრობლემებს უქმნის უბნის მცხოვრებლებსა და ფეხით მოსიარულეებს. რაც შეეხება მსუბუქ მანქანებს, დარიან ამინდშიც კი უჭირთ მასზე გადასვლა. საქმე ის არის, რომ ავდრების დროს ადიდებული ღელე მდინარედ გადაიქცევა, კალაპოტს აღმავებს და აზიანებს გზას, ტბორავს ახლომახლო ტერიტორიას.

ჩვენი აზრით, გადაუდებელია გზის მიხედვა. შესაბამისი ტექნიკა და სპეციალისტები რაიონში არის.

ზამთარი ძალაში შედის და ღელე კიდევ უფრო მეტ პრობლემებს შეგვიქმნის.

მგზავრი

***

სოფლების—ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, ბარდნალის, წიფერჩის მოსახლეობის საკმაო ნაწილი ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობს. ძალიან გვიჭირს მგზავრობა, განსაკუთრებით ახლა, როცა ზამთრის ცივი და მოკლე დღეებია. ფაქტიურად შემთხვევით ტრანსპორტზე ვართ დამოკიდებული.

რაიონში ბლომადაა კერძო ტრანსპორტი. ბევრ სოფელში განსაზღვრულ დღეებში სპეციალური რეისებიც დადის. ჩვენ კი აქაოდა, ქალაქის ახლო რეგიონში ცხოვრობთო—არავის ვახსოვართ.

ჩვენი თხოვნაა, თუკი ეს შესაძლებელია, დაინიშნოს თუნდაც ერთი მიკროავტობუსი—ცაგერი-წიფერჩის მიმართულებით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დატვირთვა ნამდვილად ექნება და ჩვენთვის ხომ უდიდესი სიკეთე იქნება.

სოფლის მცხოვრებლები

თემურ ჩორგოლიანი

მონატრება

„ვინც ღმერთმა შეგვართ, ერთად ვდგეთ“

სრულიად ყმაწვილკაცი მოხვედი ჩვენთან სამუშაოდ—რაიონული გაზეთის რედაქციაში. კოლექტივმა თბილად მიგიღო და შვილივით შეგიყვარა.

რედაქცია—სტამბის სპეციფიკასაც მალე ჩაწვდი. რამდენი ღამე გაგვიტეხია ერთად, ახალი გაზეთის დაბადების რამდენი სიხარული განგვიცდია, რამდენი ლხინი და ჭირი გადაგვიტანია.

ახლაც ჩაგვესმის შენი როხროხა ხმა და გადამდები სიცილი, თითქოს ისევ გხედავთ როგორი გულმოდგინებით ამზადებ საგაზეთო მასალას, ჩაჰკირკიტებ კორექტურას, დაღლილობის განსამუხტავად შენეული იუმორით გვიყვები ანეკდოტებს...

მერე შენში პერსპექტიული ახალგაზრდა დაინახეს და უფრო პასუხსაგები სამუშაო შემოგთავაზეს. წახვედი ჩვენგან, გული კი დაგვწყდა, მაგრამ გზა დაგილოცეთ, მუშაობდი პარტიულ მუშაკად, მიწათმომწყობად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ...

მაგრამ შენთვის მთავარი პროფესია კაცობა, ვაჟკაცობა იყო. უღალატო იყავ, ყველას ჭირისუფალი, შეუდარებელი მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე და მამა, ხალისით სავსე, სუფრის მშვენება და მომლხენი. ერთი ბედნიერება იყო შენთან ურთიერთობა.

ვინც გულით ცოცხლობს, გულით კვდებაო. სწორედ შენზეა ნათქვამი. დილაადრიან სამსახურში მიმავალს გზად დაგენია ბედისწერა, ჩახმახივი ფეხზე შემდგარი შეხვდი, სიკვდილს, გაფიქრებაც ვერ მოასწარი—ისე გაირინდა შენთვის წუთისოფელი.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო გულმართალო „ბიჭო“! შენ მუდამ ღიმილს გვჩუქნიდი, ჩვენ კი შენს საფლავთან ვდგევართ და ალალ ცრემლსა და ყვავილებს გჩუქნით.

ეს ორიოდ სტრიქონიც შენი მონატრებისაა, თემურ!

შენი ძველი კოლექტივი

ნონა და ჯემალ მუშკუდიანების გასვენება



ჩემო ძვირფასო დაო და ძმაო, რად მიმატოვეთ? ჯემალ ძმაო, ჯერ კიდევ შენი სიკვდილი ვერ გამითავისებია და ერთი წლის თავზე ნონაც წამართვი.

ჯემალ ძმაო, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. გიყვარდა შენი პროფესია ზოოვეტერინარია და 25 წელიც პატიოსნად ემსახურე ამ დარგს.

ნონა, ჩემო საყვარელო დაიკო, მახაშისა და ლასურიაშის საშუალო სკოლებში ასწავლიდი მოსწავლეახალგაზრდობას.

შემდეგ კი ქ. ზუგდიდის მე-4 საშულო სკოლაში ასწავლიდი 28 წელი. გულით შეგიყვარა შენმა აღსაზრდელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა.

ნონა! ჩემო ძვირფასო შენი სიცოცხლე გრძელდება ლეკანისა და ეკუნას სახით.

ვაი შენ ჩემო ძმაო, შენ კი...

უბედური თქვენი დედა ცოცხალია, მან არ იცის ნონა შენი დაღუპვა. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

დედა კლავდია, და მზია

ქოეზია

რა მოკლეა დღენი სიცოცხლისანი

რა მოკლეა დღენი სიცოცხლისანი,
ვერ გავიგე, რაა მოსვლის მიზანი,
როს არ ძალგიძს შესძრა ცა და მინანი,
საყოველთო თავი შენი იცანი.
  რომ ხარ ერთი უსუსური არსება,
  მოითმინე სულის სევდით ავსება,
  ნუ გაშინებს ბედის გაალმასება,
  მნუხრით სივრცის მოვარესავით გავსება.
თავი შენი უმნეო მნერს ადარე,
ავდარია, მოდი, გამოადარე,
უფლის მადლი გულით ჩუმად აკარე,
დარჩენილი დრო ნუნარად გააკარე.
  კარგო, როცა ასეთია ცხოვრება,
  დამიჯერე, მამაჩემს აქვს ცხონება.
  დაივინყე ქონება, არქონება,
  შეინუნარე, რაც სულს მოეფნოება.

იჯდა მისთვის და ფიქრდა

ერთი ზნე ჰქონდა ცუდი,
ღვინოს ვერ სვამდა კარგად.
მსმელთა დასდევდა გუნდი,
თქვენ შეამჩნევდით ალბათ.
  სუფრასთან დიდხანს ჯდომა
  ეჯავრებოდა მუდამ,
  ჩუმად უყვარდა შრომა
  სხვა არაფერი სურდა.
ცნობდნენ ცარიელ ჯიბით,
ოფლს არ მალავდა მიმხმარს,
რადგან ცხოვრების კიბით
არ სარგებლობდა დიდხანს.
  შველა უყვარდა მოძმის,
  ხშირად იპყრობდა სევდა.
  ვერვინ ნახავდა მოწყლილს,
  იჯდა მისთვის და ნერდა.

მიწა მხიბლავდა ქართული

დრო შეუმჩნევლად ვიდოდა
და სიბერემდე მივედი.
მე უფრო მეტი მინდოდა,
ბედმა მაკმარა მწირედი.
  ღვთის ნაწყალობვ სიხარულს
  მოძმესთან ვინანილებდი.
  თუ არ გავწევმდი სიყვარულს,
  ისე არ ვინადიმებდი.
მიყვარდა კაცი სანყალი,
მინა მხიბლავდა ქართული.
არც ღვინო მშურდა, არც ნყალი,
ვიყავი ნელგამართული.

ომარ ჭაბუკიანი

საქართველოს პრეზიდენტის თასზე ქართულ ჭიდაობაში

სპორტი

თბილისში სპორტის სასახლეში ჩატარებულ გუნდურ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი კობა ქომეთიანი). რეგიონის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ორი ფალავანი ჩვენი რაიონიდან გიორგი სილაგაძე და შალვა მეგრელი.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუნდმა შეხვედრა გამართა კახეთის

საქართველოს ფალავნობა

ქართული ჭიდაობა, რომელიც ქ. თბილისში სპორტის სასახლეში ჩატარდა, გამოირჩეოდა უშელავათო დაძაბული ორთაბრძოლებით.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის სახელოვანი ფალავნები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები.

ცაგერის რაიონს ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში წარმოადგენდნენ, გიორგის სილაგაძე და შალვა მეგრული (მწვრთნელი კობა ქომეთიანი).

ძლიერ გუნდთან და სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს. დამარცხების მიუხედავად უნდა აღინიშნოს ჩვენი მოჭიდავეების დამაჯერებელი, მაღალოსტატური ასპარეზობის შესახებ.

შეჯიბრება ჩატარდა საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით (დამფუძნებელი საქართველოს პარლაენტის წევრი ვალერი გიორგობიანი) და მას დიდი რეზონანსი მოჰყვა მთელ ქვეყანაში.

გ. კვირიკაშვილი

ჩვენმა ბიჭებმა ღირსეულ მოწინააღდეეგებთან შერკინებაში მიუხედვად დამარცხებისა თავი გამოიჩინეს თავდადებით და ოსტატური ჭიდაობით.

ლეჩხუმს ალამაზებს და სახელს მოუპოვებს ასეთი ვაჟკაცები.

ღმერთმა გვიმრავლოს.

გ. კვირიკაშვილი

სიბრძნის საგანძურიდან

■ ■ ■

დრო თავისას აკეთებს, შენ კი რას აკეთებ, ადამიანო?

(ბელინსკი)

■ ■ ■

არაფერი ვნებს კაცს ისე, როგორც უვიცობა.

(სოფოკლე)

■ ■ ■

უვიცებად რჩებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც ასეთებად დარჩენა გადაუწყვეტიათ.

(პლატონი)

■ ■ ■

საშინელებაა, როცა უყურებ როგორ ფლანგავენ მდიდრები ფულს და ვერაფრით ეხმარები მათ.

(დანინოსი)

■ ■ ■

თუ ჟურნალისტის ნათქვამს არაეთიკურს უწოდებენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მისი სიტყვები სიმართლეს შეეფერება.

(დეგოცი)

■ ■ ■

ჭკუაზე ისინი იშლებიან, ვინაც ჭკუა აქვთ.

(გერცენი)

■ ■ ■

სულ ბულბულობაც არ ვარგა, ზოგჯერ ყორნობაც კარგია.

(აკაკი)

■ ■ ■

ჭრელი ცხოვრება ჰქონდა, დროშებს იცვლიდა.

(მონტენი)

ცოცხალი ვიყავ

კულინარია

პიცა

შემადგენლობა: 100 გრ თქვილი, 1 კვერცხი, 1 ს.კ. კარაქი ან მარგარინი, მარილი, 6–8 პომიდორი, 5 სუფრის კოვზი გახეხილი ყველი, 2 სუფრის კოვზი დაჭრილი მწვანილი 1/2 ლ არაქანი, კარაქი.

თქვილის, კვერცხის, კარაქის, მარილისაგან მოვზილოთ ცომი, გავაჩერთოთ ცივ ადგილას.

პომიდორები გავჭრათ შუაზე, კოვზით ამოვაცალოთ. წვენი და თესლები.

შევუტრიოთ ერთმანეთს ყველი, ხახვი, მარილი, პილპილი და მწვანილი, მიღებული მასით ამოვავსოთ პომიდორები, ზემოდან გავანაწილოთ არაქანი.

ცომი გავამრგვალოთ, ჩავათინოთ ცხიმწასმული ღუმელის ლანგარში. განვათავსოთ ზედ პომიდორები, მათ შორის დარჩენილ სივრცეებში ჩავასხათ არაქანი, შევდგათ წინასწარ გაცხელებულ ღუმელში და საშუალო ცეცხლზე ვაცხოთ 15 წუთით. დასასრულ პიცის ნაპირებს წავუსვათ ცხიმი, ხოლო პომიდორებს მოვაყარეთ მწვანილი.

გილოცავთ!

თამუნა გორისის ასულ ლეფკაფელს ლაფა გელას ძე კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას!
გფარავდეთ ღმერთი!

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია

დალი მურცხვალაძე, ეკა ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან

თემურ ვალიკოს ძე მურცხვალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფალს.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ციური ახვლედიანს

და ჯემალ ცვარიანს

დედის და სიდედრის გარდაცვალების გამო.

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგი მუშკუდიანს დედის და ნინო მურცხვალაძეს დედამთილის გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზეევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ალდარიას სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499